

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
(2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით)**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“-ს, საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და გამგეობის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყო რიგი საკითხების ადმინისტრირება 2015 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სამსახურში შემავალი განყოფილებების ფუნქციების შესაბამისად. ადმინისტრაციულმა სამსახურმა თავისი საქმიანობა წარმართა შემდეგი მიმართულებით:

- გამგეობის სამსახურების საქმისწარმოების უზრუნველყოფა
- ადამიანური რესურსების მართვა
- გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგებლის წარმომადგენლების კოორდინირებული მუშაობა
- გამგეობის ურთიერთობის ორგანიზება მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან გაერთიანებებთან სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
- გამგეობის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება
- გამგეობის ურთიერთობა საზოგადოებასთან

საქმისწარმოების განყოფილებაში 2015 1 იანვრიდან 1 აპრილამდე შემოსულია 1983 განცხადება და ორგანიზაციებიდან 776 დოკუმენტი, გასულია- 737. 2015 წლის 1 აპრილიდან გამგეობა გადავიდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე. რამაც გაამარტივა მოქალაქეების ურთიერთობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ამ პერიოდში გამგეობაში შემოსულია 3528 წერილი და განცხადება, შიდა დოკუმენტბრუნვაა 6742, გასული დოკუმენტი-5755, სამართლებრივი აქტი-1626. განყოფილებამ აწარმოა მიღებული კორექსიონდენციის რეგისტრაცია და მათი დანიშნულებისამებრ განაწილება, გადაცემა შემსრულებელთათვის, კონტროლი შესრულებაზე და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება. ასევე ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, უწევს საჭირო კონსულტაციას.

2015 წლის 4 თებერვლის საკრებულოს განკარგულების თანამხმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაემატა 17 შტატი და 2015 წლის 15 მაისს ოქმი #11-ის საფუძველზე შეივსო ვაკანტური თანამდებობები.

დღეის მდგომარეობით სულ გამგეობაში დასაქმებულია 168 თანამშრომელი, აქედან 143 არის საჯარო მოხელე, 13 თანამდებობის პირი და 12 ხელშეკრულებით მომუშავე. რომელთა პირადი საქმეები მოწესრიგებულია და დაცულია სათანადო ადგილას. გენდერულ ჭრილში თანამშრომელთა თანაფარდობაა გამოიყურება შემდეგნაირად ქალი-65, მამაკაცი 103.

დღეის მდგომარეობით გვაქვს სულ 7 ვაკანტური ადგილი, რომელიც უნდა შეივსოს კონკურსის წესით.

ასევე განხორციელდა კონტროლი, გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ კანონით დადგენილი დეკლარაციის წარდგენაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო მოსამსახურეებმა შეავსეს სპეციალური ფორმები ტრენინგსაჭიროებებთან დაკავშირებით, რაც 2015 წლის 20 ნოემბერს დამტკიცდა საკრებულოს სხდომაზე N95 განკარგულების საფუძველზე.

2015 წლის დეკემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოხდა საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოს შეფასება, რომელიც დაცულია თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში.

შედგენილი გვაქვს შვებულების გრაფიკი, რომლის მეშვეობითაც ვაკონტროლებთ თანამშრომელთა შვებულებაში გაშვების საკითხებს, ასევე ვაწარმოებთ მოხელეთა სამსახურებრივი მოწმობების გაფორმებასა და აღრიცხვას.

ვაწარმოებთ სტაჟირებასთან და პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტას, ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი სიის შედგენას.

28 მარტს გვერთვება HR-ის სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულად მოხდება თითოეული თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება, დანიშვნა, განთავისუფლება, შვებულებაში გაშვება და მივლინება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი არის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ - 64 განცხადება, მოქალაქეების მიერ - 37 განცხადება, სულ 101 განცხადება, აქედან:

- ა) დაკმაყოფილდა 93 მოთხოვნა;
- ბ) მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ იქნა 4 გადაწყვეტილება;
- გ) მოთხოვნაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ მიღებულ იქნა 4 გადაწყვეტილება;

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძველით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციას, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე უარის თქმა, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

ა) განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაცული არ იყო;

ბ) განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შეიცავდა სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს და სახეზე არ იყო ამავე კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მათი გაცემის არცერთი საფუძველი;

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა გამგეობის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიში გადაგზავნილია საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერმინისტრის ადმინისტრაციაში, საქართველოს პარლამენტში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებს გამგებლის და გამგეობის სტრუქტურული დანაყოფების, ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობას დაქვემდებარებული არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული პირების აქტივობებს.

უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებას, გამგეობის ურთიერთობის ორგანიზებას მოქალაქეებთან, საკრებულოსთან, იურიდიულ პირებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა თვითმმართველ ერთეულებთან ასევე, გამგეობის თანამდებობის პირების პრესკონფერენციების ორგანიზებას, გამგეობის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრესდაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების მიერ 7 აგვისტოს მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის შეამაჯამებელი ანგარიში, რომლის პრეზენტაციაც ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. განყოფილება აქტიურად იკვლევს პრობლემებს მუნიციპალიტეტის ყველა თემში და ამზადებს ყოველკვირეულ სიუჟეტებს სოფლებში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ. უზრუნველყოფს ადგილობრივ და ცენტრალურ საინფორმაციო საშუალებებში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ საინფორმაციო სააგენტოებთან. ამზადებს ფოტორეპორტაჟებს და აკეთებს ადგილობრივ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების მოკლე მიმოხილვასა და ანალიზს.

სახელმწიფო კანცელარიის მიერ წარმოებული მედიამონიტორინგის ფარგლებში მოამზადა 151 საპასუხო წერილი მედიაში გამოქვეყნებული სტატიების პასუხად.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების ფარგლებში მოამზადა გასულ წელს აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების საანგარიშო პრეზენტაცია.

2015 წლიდან დღემდე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებამ მოამზადა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე განათავსა 322 ნიუსი და 173 ვიდეოსიუჟეტი, რომელთაგან 62 გავიდა ცენტრალურ არხებზე : „იმედზე,“ „მაესტროზე,“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

ადმინისტრაციულმა სამსახურმა მოაწესრიგა გამგეობის არქივი, ასევე უზრუნველყოფს ფეისბუქ- გვერდის ადმინისტრირებას და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე www.ozurgeti.org.ge საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.

სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულ იქნა 2016 წლის სამუშაო გეგმა, რომლის გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს მიმდინარე წელში სამსახურში შემაჯავლი განყოფილებების უფრო ეფექტური და მოქნილი მუშაობა.

სამსახურის უფროსი:

ხ.სურგულაძე